

ნინო შარაშენიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოდლობის კატეგორია ქართულში, მისი სწავლების მეთოდები და სტრატეგიები უცხოელთათვის

(ქართულის, როგორც მეორე ენისა და როგორც უცხო ენის სწავლებისას)

აბსტრაქტი

მოდლობა სემანტიკური კატეგორიაა. მოდალური ფორმები ბევრ ენაში პოლისემანტიკურობითა და პოლიფუნქციურობით ხასიათდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მოდალური ფორმა სხვადასხვა კონტექსტში და ზმნის სხვადასხვა ფორმასთან განსხვავებულ მოდალურ სემანტიკას იძლევა. ქართული ენისათვის ეს მნიშვნელოვანი თავისებურებას წარმოადგენს, რადგან ქართული ზმნის სხვადასხვა ფორმა ერთ მოდალურ ფორმასთან განსხვავებულ სემანტიკას ქმნის. თარგმნისას ამ სემანტიკური ნიუანსების ცოდნა და გათვალისწინება მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამისათვის საჭიროა შეიქმნას გარკვეული პრინციპით აგებული ქვესისტემა, რომელიც სრულად ასახავს მოდალური ფორმებით გადმოცემულ სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს. ამგვარი ქვესისტემის შექმნა აუცილებელია ენის სწავლებისთვისაც, რათა სახელმძღვანელოებში და ასევე სწავლების პროცესში ენის ეს მნიშვნელოვანი თავისებურება სრულყოფილად და და მთელი სისრულით აისახოს. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ეს ქვესისტემა ქართული ენის სწავლების პროცესში გასათვალისწინებელი მეთოდებითა და სტრატეგიებით. ნაშრომში განხილული იქნება ენის სწავლების პროცესში ამ ქვესისტემის გამოყენების შესაძლებლობები, სავარჯიშოთა ტიპების კლასიფიკაცია, საკლასო პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: მოდალობა, მოდალური მნიშვნელობა, წინადადების სემანტიკური ანალიზი.

შესავალი

მოდლობა ენაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, რამდენადაც მუდმივ მიმართებას ავლენს გამონათქვამსა და მის სემანტიკას შორის. ფართო გაგებით, მოდალური შინაარსისაგან სრულიად დაცლილი წინადადება თუ დისკურსი არ არსებობს.

წინადადებით გამოთქმული შინაარსისადმი ყოველთვის იგულისხმება გარკვეული დამოკიდებულება - კონკრეტური, ემოციური თუ რაციონალური. მთქმელი ამ დამოკიდებულებას ყოველთვის ავლენს, მაგრამ სხვადასხვაგვარია მისი გამოხატვის საშუალებები. გამონათქვამისადმი დამოკი-

დებულება შეიძლება გამოვლინდეს ზმნის კილოსა და მოდალური ელემენტების საშუალებით, ფოკუსით, სიტყვათა რიგით, ინტონაციითა და ჟესტ-მიმიკებით. მოდალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, გამოხატვის მთავარ საშუალებად განიხილება ის ენობრივი ფორმები, რომლებიც ყველა კონტექსტში გარკვეულ მოდალურ სემანტიკას ავლენენ. ამდენად, მოდალობის გამოხატვის ძირითად საშუალებებად მიიჩნევა ენობრივი ფორმები, ანუ მოდალური ზმნები და ელემენტები.

ენაში არსებული მოდალობის სისტემის დაუფლება ენის სწავლების ყველა ეტაპზე ხდება. ამასთანავე აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული ენის ათვისების რომელ დონეზე მოხდება ამა თუ იმ ფორმისა და სემანტიკის მიწოდება.

ქართულ ენაში მოდალობის სისტემის ძირითად გამომხატველად გვევლინება ორი ზმნა - **ნდომა** და

შეძლება ზმნები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზმნები ქართულში დამოუკიდებელი ზმნური ფუნქციითაც გვევლინებიან. ისინი ჩვეულებრივ იუღლებიან და აქვთ მხოლობითსა და მრავლობით რიცხვის სამივე პირის ფორმა. რაც შეეხება მოდალური ელემენტს, ეს არის **ნდომა** ზმნის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა - **უნდა**, რომელიც უცვლელად დაერთვის ზმნის პარადიგმას. კონსტრუქცია რამდენიმე მოდალური სემანტიკას გამოხატავს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვაა მათი კონსტრუქცია, პირველ შემთხვევაში დატიური კონსტრუქციაა, ანუ სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, ხოლო მეორე შემთხვევაში სუბიექტი იღებს ძირითადი ზმნის კონსტრუქციას, ანუ იმ ბრუნვაშია რომელსაც ძირითადი ზმნა მოითხოვს: ეს შეიძლება იყოს ნომინატიური ან ერგატიული კონსტრუქცია: ის **უნდა წავიდეს - მან უნდა გააკეთოს**:

უნდა დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით - <i>იგვლება პირისა და რიცხვის მიხედვით</i>	უნდა მოდალური ზმნის ფუნქციით - <i>არ იგვლება პირისა და რიცხვიდ მიხედვით</i>
მე მინდა გააკეთო	მე უნდა გააკეთო
შენ გინდა გააკეთო	შენ უნდა გააკეთო
<u>მას</u> უნდა გააკეთოს	<u>მან</u> უნდა გააკეთოს
ჩვენ გვინდა გააკეთოთ	ჩვენ უნდა გააკეთოთ
თქვენ გინდათ გააკეთოთ	თქვენ უნდა გააკეთოთ
<u>მათ</u> უნდათ გააკეთონ	<u>მათ</u> უნდა გააკეთონ

ამდენად, აღნიშნული თავისებურება მნიშვნელოვან პრობლემას შექმნის ენის სწავლების პროცესში და მისი გათვალისწინება აუცილებელია.

გარდა ამისა, არსებობს სხვა მოდალური ელემენტები, რომლებიც დაერთვის ზმნას და მას მოდალური სემანტიკას ანიჭებს, ასეთებია: **ეგებ, იქნებ,**

ლამის, თითქოს, თითქმის, კინაღამ, მაინც. ქართული ენისათვის მნიშვნელობა ენიჭება ზმნის კილოსა და მოდალური ელემენტის კომბინაციას.

ქართული ენაში მოდალობის სისტემა ამგვარ სემანტიკური ჯგუფებს ექმნის:

სემანტიკა	მოდალური ფორმა	მაგალითი
ლოგიკური შესაძლებლობა	შევძლებ შესაძლოა შესაძლებელია	შევძლებ წასვლას / გააკეთებას... შესაძლოა მოვიდეს / გააკეთოს... შესაძლებელია მოვიდეს / გაკეთდეს...
აღბათობა	აღბათ იქნებ	აღბათ მოვა / იტყვის... იქნებ მოვიდეს / გააკეთოს...
ვარაუდი	ეგებ	ეგებ მოვიდა / მოვიდეს...
ლოგიკური აუცილებლობა	უნდა	უნდა იყოს / გაეკეთებინა / ახსოვდეს...
ვალდებულება, მოვალეობა	უნდა	უნდა დაწერო / გააკეთო...
აკრძალვა	ნუ	ნუ აკეთებ / კითხულობ...
ნებართვა	შეიძლება შეგიძლია შეუძლია	შეიძლება წავიდე / გავაკეთო?... შეგიძლია წახვიდე / გააკეთო... შეუძლია წავიდეს / გააკეთოს...
უნარი და შესაძლებლობა	შემიძლია ვიცი	შემიძლია ცურვა / კითხვა... ვიცი ცურვა / კითხვა...
უნარისა და შესაძლებლობის უარყოფა	ვერ	ვერ ვცურავ / ვკითხულობ... ვერ გავაკეთებ / წავიკითხავ...
სურვილი (ვოლიტივი)	იქნებ	იქნებ წავიდე / გავაკეთო...
ძლიერი სურვილი, ნატვრა	ნეტავ	ნეტავ წავიდე / გავაკეთო...
შეფასება- მიახლოებითობა	ლამის თითქმის	ლამის ჩამოვარდა / გატყდა... თითქმის გააკეთა / დაწერა...

	<i>კინაღამ</i>	
შეფასება-წარმოსახვა	<i>თითქოს</i> <i>ვითომ</i>	<i>თითქოს მოვიდა / გააკეთა...</i> <i>ვითომ მოვიდა / ვითომ გააკეთა...</i>
ემოციური შეფასება (გაკვირვება-გაოცება)	<i>განა</i> <i>ნუთუ</i> <i>აკი</i> <i>ნეტავ</i>	<i>განა გააკეთა / თქვა...</i> <i>ნუთუ დაასრულა / მოვიდა?..</i> <i>აკი არ მინდაო?..</i> <i>ნეტავ რა უნდა?..ნეტავ იცის ეს ამბავი?..</i>
შეფასება- გადაწყვეტილება	<i>ღირს*</i>	<i>არ ღირს ამის გაკეთება...</i> <i>ღირს კი ამის გაკეთება?..</i>
რწმენა-შეხედულება	<i>მანც</i>	<i>მანც არ გავაკეთებ / წავალ...</i>
ერთობლივი გადაწყვეტილება	<i>მოდ</i>	<i>მოდ</i> ერთად წავიდეთ / გავაკეთოთ..
ინდივიდუალური გადაწყვეტილება (ზეპირმეტყველებაში)	<i>ავდექი და...</i> <i>ადექი და...</i> <i>ადგა და...</i>	<i>ავდექი და წავედი / გავაკეთე / ვუთხარი...</i> <i>ადექი და წადი / გააკეთე / უთხარი...</i> <i>ადგა და წავიდა / გააკეთა / უთხრა...</i>

მოდალური ფორმების პოლისემანტიკურობა და პოლიფუნქციურობა

საზოგადოდ, მოდალური ფორმებისათვის დამახასიათებელია რამდენიმე სემანტიკის შეთავსება და ამის გათვალისწინებით, მათი განსხვავებული ფუნქციის საკითხიც დგება. ამგვარი მოვლენა სხვა ენებშიც დასტურდება. მაგალითად, ინგლისური ენის ერთი მოდალური ფორმა რამდენიმე სემანტიკას შეიძლება გამოხატავდეს, ასევე ჩვეულებრივია მოდალური ზმნის

სხვადასხვა დროის ფორმის გამოყენება სხვადასხვა ფუნქციით, მაგალითად **can** ზმნის წარსული დროის ფორმას (**could**) თავაზიანობის გამოხატვის ფუნქციაც აქვს.

ქართულშიც რამდენიმე მოდალური ფორმა სხვადასხვა სემანტიკას გამოხატავს. ქვემოთ მოცემული ცხრილი თვალნათლივ ავლენს მოდალურ ფორმათა ამ თავისებურებას:

მოდალური ფორმა	მოდალური სემანტიკა
შეძლება	<ul style="list-style-type: none"> • ლოგიკური შესაძლებლობა • ნებართვა • უნარი და შესაძლებლობა
უნდა	<ul style="list-style-type: none"> • ლოგიკური აუცილებლობა

	<ul style="list-style-type: none"> • ვალდებულება და მოვალეობა • ობიექტური აუცილებლობა
იქნებ	<ul style="list-style-type: none"> • ალბათობა • სურვილი, ვოლიტივი
ეგებ	<ul style="list-style-type: none"> • ვარაუდი • ალბათობა
ნეტავ	<ul style="list-style-type: none"> • ძლიერი სურვილი, ნატვრა • ემოციური შეფასება (გაკვირვება-გაოცება)
მაინც	<ul style="list-style-type: none"> • რწმენა-შეხედულება • გადაწყვეტილება
ღირს	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი ზმნა • შეფასების მოდალობა
ვიცი	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი ზმნა • უნარი და შესაძლებლობა
მოდი	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი ზმნა • ერთობლივი გადაწყვეტილება
ავდექი	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი ზმნა • ინდივიდუალური გადაწყვეტილება

ენის სწავლების პროცესში ამ თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელია. გრამატიკული მასალის მიწოდებისას კარგად უნდა დაიგეგმოს, თუ რა ეტაპზე და როგორ განაწილდება გარკვეული სემანტიკის მასალის მიწოდება.

ერთი მოდალური ფორმის რამდენიმე სემანტიკა - უნდა

უნდა მოდალური ფორმა ლოგიკურ აუცილებლობას გამოხატავს. მაგრამ ეს არაა ერთადერთი სემანტიკა, რომელიც ამ მოდალური ფორმით

გადმოიცემა. დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნის ფორმას - კილოსა და მწკრივს. სხვადასხვა კომბინაციაში კონსტრუქციას განსხვავებული სემანტიკა ენიჭება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია რამდენიმე კონსტრუქცია. მათი განსხვავებული შინაარსი გამოწვეულია ზმნის ფორმით. ამდენად, ეს საკითხი ენის სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სემანტიკური ნიუანსების ანალიზი მხოლოდ ენის ფლობის მაღალ დონეზე შეიძლება მოხდეს.

კონსტრუქცია	სემანტიკური ფუნქცია
უნდა + მეორე კავშირებითი, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა (უნდა ვთქვათ...)	მთქმელის სუბიექტური დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება ლოგიკურ აუცილებლობას და ახლავს ობიექტური ჭეშმარიტების შინაარსი.
უნდა + მეორე კავშირებითი (უნდა შეიცვალოს...)	მოლაპარაკის პოზიცია, რომელიც ეფუძნება სუბიექტურ აღქმას და წარმოადგენს ლოგიკურად აუცილებელ ჭეშმარიტებას. იგი გამოხატავს მომავალ დროში შესასრულებელ მოქმედებას, რომელსაც ახლავს სასურველობის სემანტიკა.
უნდა + მეორე თურმეობითი (უნდა ჩამოსულიყო...)	ლოგიკური აუცილებლობა და რეზულტატიურობა.
უნდა + აწმყოს კავშირებითი (უნდა ახსოვდეს...)	ზოგადდროულობა, ლოგიკური აუცილებლობა, სასურველობისა ან ვარაუდის დამატებითი მნიშვნელობით.

მოდალური ფორმების სისტემა და მისი მნიშვნელობა სახელმძღვანელოებისა და სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვისათვის

სახელმძღვანელოების აგებისა და სწავლების პროცესის კარგად წარმართვისათვის აუცილებელია გრამატიკულ მონაცემთა და ენობრივ ფორმათა იმგვარი მიწოდება, რომ ენის საკომუნიკაციო ასპექტები სრულყოფილად წარიმართოს და ამავე დროს არ წარმოიქმნას ენობრივ ფორმათა ფუნქციური და სემანტიკური ორაზროვნება. ამის გათვალისწინებით, საკომუნიკაციო თემების სწორად შერჩევის გარდა, მნიშვნელოვანია ფუნქციური გრამატიკის საკითხების სწორად განაწილება.

სურვილის გამოხატვის შინაარსი ენის სწავლების პირველივე დონიდან მნიშვნელოვანია. ამისათვის ენის შემსწავლელს დასაწყისშივე მიეწოდება სურვილის გამომხატველი „ნდომა“ ზმნა („მე მინდა წყალი“). ასევე მნიშვნელოვანია კავშირებითი კილოს ფორმების ათვისებაც - ეს კი პირველივე დონეზე გულისხმობს არჩევანს რამდენიმე ენობრივ საშუალებას შორის; თუ ამას დავუმატებთ ვალდებულების ან გადაწყვეტილების სემანტიკასაც, პირველივე დონეზე ოთხი კონსტრუქციის მიწოდება გახდება საჭირო:

(1) მე მინდა პური.	სურვილის გამოხატვა.
-----------------------	------------------------

(2) მე მინდა პურის ყიდვა.	სასურველი მოქმედების გამოხატვა.
(3) მე მინდა პური ვიყიდო.	სურვილისა და გადაწყვეტილების გამოხატვა.
(4) მე პური უნდა ვიყიდო.	გადაწყვეტლების ან ვალდებულების გამოხატვა.

ვითარებას ართულებს ის, რომ ყველა ეს სემანტიკა ერთ ზმნურ ფორმას უკავშირდება, მაგრამ განსხვავდება კონსტრუქციები და ამავე დროს განსხვავდება სემანტიკაც. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა სემანტიკის გამოხატვა არ მოხდეს ენის სწავლების ერთ დონეზე და პარალელურად.

ფუნქციური გრამატიკის საკითხთა სწორად და მოზანმიმართულად მიწოდება აუცილებელია წინასწარ

კარგად იყოს გააზრებული. ამის მაგალითად გამოდგება კიდევ ერთი ფორმის ანალიზი: „**მოდი**“ ფორმა ბრძალებითი კილოს ფორმაა და აღნიშნავს სვლას მოლაპარაკის მიმართულებით: *მოდი დაფასთან; მოდი ჩემთან*. ეს კონსტრუქცია და სემანტიკა სრულიად შესაძლებელია ენის სწავლების პირველივე დონეზე მიეწოდოს შემსწავლელს. „**მოდი**“ ფორმა ასევე გამოყენებულია ერთობლივი გადაწყვეტილების გამოსახატავ მოდალურ საშუალებადაც. ამ სემანტიკით იგი სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციას ქმნის. რა თქმა უნდა, ეს ფორმები ენის სწავლების სხვადასხვა დონეზე უნდა მიეწოდოს ენის შემსწავლელს, რათა კარგად გაიმიჯნოს მათი ფუნქცია და სემანტიკა. ასევე დაუშვებელია ჯერ მოდალური ფორმის მიწოდება, ხოლო შემდგომ კი ზმნისა.

მოდი	სვლა მოლაპარაკის მიმართულებით:	ერთობლივი გადაწყვეტილება:
	<i>მოდი დაფასთან.</i>	<i>მოდი, ერთად წავიდეთ.</i>
	<i>მოდი მაგიდასთან.</i>	<i>მოდი, ერთად წავიკითხოთ.</i>
	<i>მოდი ჩემთან.</i>	<i>მოდი, ერთად გავაკეთოთ.</i>

ყოველივე ეს კარგად ავლენს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გრამატიკულ ფორმათა და საკითხთა სწორად გაანალიზება და მათი გარკვეული პრინციპით თანამიმდევრულად მიწოდება. ეს

იმთავითვე მოხსნის ფუნქციური, ფორმობრივი თუ სემანტიკური ორაზროვნებას პრობლემას და ენის ათვისების პროცესს მნიშვნელოვნად გაამარტივებს.

მოდალობის სისტემა და ენის ფლობის დონეების მიმართება

მოდალობის სისტემის თანამიმდევრული მიწოდება ენის სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. რა თქმა უნდა, ამ მხრივ სახელმძღვანელოს ავტორსა და პედაგოგს შეუძლია შექმნას გარკვეული პრინციპით აგებული სისტემა, მაგრამ ამასთანავე აუცილებელი იქნება მთელი რიგი

საკითხების გათვალისწინება. პირველ რიგში, აუცილებელია წინასწარ შეიქმნას ქვესისტემა, რომელიც თვალნათლივ წარმოადგენს მოდალური სემანტიკის მიწოდებისა და ენის სწავლების დონეების მიმართებას. ზემოთ განხილული საკითხების გათვალისწინებით შესაძლებელია ეს საკითხი ამგვარად წარმოვადგინოთ:

ენის სწავლების დონეები	მოდალური ფორმები	მოდალური ფორმების სემანტიკა
A 1	(თუ) შეიძლება ვიცი უნდა ალბათ	ნებართვა უნარი და შესაძლებლობა ვალდებულება, მოვალეობა ალბათობა
A 2	ვერ ნუ უნდა შემიძლია მოდი ნეტავ	უნარისა და შესაძლებლობის უარყოფა აკრძალვა ლოგიკური აუცილებლობა უნარი და შესაძლებლობა ერთობლივი გადაწყვეტილება ძლიერი სურვილი
B 1	შევძლებ იქნებ განა, ნუთუ, აკი, ნეტავ მაინც	ლოგიკური შესაძლებლობა ალბათობა ემოციური შეფასება რწმენა-შეხედულება
B 2	შესაძლოა, შესაძლებელია... იქნებ ეგებ ლამის, თითქმის, კინაღამ თითქოს, ვითომ ღირს	ლოგიკური შესაძლებლობა სურვილი ვარაუდი შეფასება, მიახლოებითობა შეფასება, წარმოსახვა შეფასება-გადაწყვეტილება
C 1		
C 2		

ენის ფლობს მაღალ დონეზე (C 1, C 2) ხდება ათვისებული მასალის გადამუშავება და მისი სემანტიკური ტრანსფორმაცია ტექსტებსა და ზეპირმეტყველებაში.

მოდალურ ფორმათა სემანტიკის ათვისების მეთოდები და სტრატეგიები, სავარჯიშოთა ტიპები

ენის სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეთოდებისა და სტრატეგიების სწორად შერჩევას. **წერითი მუშაობის მეთოდი** გრამატიკული საკითხების დაუფლებისათვის მეტად პროდუქტულია, რადგან იგი ხელს უწყობს მასალის კარგად ათვისებას. მოდალური კონსტრუქციების ათვისებისათვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს **თვალსაჩინოების მეთოდი**, რადგან იგი მოდელებისა და კონსტრუქციების მიწოდების კარგ შესაძლებლობას იძლევა. გარკვეული სემანტიკის გამომხატველი კონსტრუქცია საჭიროებს სპეციალურ ანალიზს, რადგან კონსტრუქციაში, გარდა მოდალური ფორმისა, მონაწილეობს როგორც ზმნის საწყისი (ინფინიტიური ფორმა), ასევე ზმნის კავშირებითი ან თხრობითი კილოს ფორმა. ამდენად, თითოეული სემანტიკისათვის სასურველია შეიქმნას ცალკე მოდელი, რომელიც თვალსაჩინოების სახით მიეწოდება ენის შემსწავლელს სახელმძღვანელოებსა

თუ საგაკვეთილო პროცესში. ამავე დროს გასათვალისწინებელია ქართული ენის ის თავისებურება, რომ ყველა ზმნას წარმოების ერთი მოდელი არ ახასიათებს, ამდენად მნიშვნელოვანია, რომ თვალსაჩინოებაში კონსტრუქციასთან ერთად ჯგუფებად იყოს წარმოდგენილი ერთი წარმოების ზმნები. ასევე პროდუქტული იქნება **კითხვა-პასუხის მეთოდი**, რადგან იგი თანაბრად ავითარებს როგორც წერით, ისე ზეპირმეტყველების უნარებს.

ენის სწავლების საწყის ეტაპზე სასურველია არა მხოლოდ მოდელების, არამედ ყოფით სიტუაციაში გამოსაყენებელი წინადადებების მიწოდება. წინადადებათა სემანტიკური ანალიზის შემდეგ სასურველია არაავთენტური, გარკვეული მიზნით შექმნილი და საკომუნიკაციო სიტუაციაზე აგებული ტექსტისა თუ დიალოგის საკითხავ მასალად შეთავაზება. ამ ტიპის ტექსტებში ახალი ფორმები და კონსტრუქციები ხაზგასმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რაც მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას უწყობს ხელს. მხოლოდ ამგვარი მასალის ანალიზის შემდეგ შეძლებს ენის შემსწავლელი სრულყოფილად წარმართოს რეპროდუცირებისა და პროდუცირების ფაზები და თავად შეადგინოს კონსტრუქციები, წინადადებები და ტექსტები. მასალის ათვისებას

გაადვილებს მრავალ-ფეროვანი სავარჯიშოები. თითოეული სავარჯიშო მასალის ათვისებასა და გარკვეული უნარის განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით

მნიშვნელოვანია კონსტრუქციისა და სემანტიკის სწორად შერჩევა ეს კი ენის შემსწავლელმა შეიძლება ათვისოს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით.

სავარჯიშოთა ტიპები:	მიზანი:
წინადადებაში სწორი მოდალური ფორმის ჩასმა.	მოცემულია რამდენიმე მოდალური ფორმა, მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ერთი და ჩასვას წინადადებაში. ხელს უწყობს წინადადების შინაარსისათვის შესაფერისი მოდალური ფორმის შერჩევას.
სწორი ზმნის ფორმის შერჩევა.	წინადადებაში მოცემულია მოდალური ფორმა, მოსწავლემ უნდა შეარჩიოს და შეუსაბამოს ზმნის სწორი ფორმა. სავარჯიშო ხელს უწყობს სწორი მოდალური კონსტრუქციის შედგენას.
წინადადებათა ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება.	სავარჯიშო ავითარებს წინადადების შინაარსის გაგებისა და სწორი კონსტრუქციის აგების უნარს.
შეკითხვისათვის სწორი პასუხის შერჩევა.	ავითარებს სწორი სემანტიკისა და კონსტრუქციის შერჩევას.
მოდალური ფორმაზე წინადადების შედგენა.	ავითარება მოდალური ფორმისა და მისი კონსტრუქციის გამოყენებას გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად.
კითხვების დასმა.	ავითარებს საკომუნიკაციო სიტუაციას და ზუსტი შინაარსის გამოხატვას.
წინადადების სემანტიკის შეცვლა.	ავითარებს მოდალური ფორმების სემანტიკური ნიუანსების ცოდნას.
წინადადებების შედგენა.	ავითარებს პროდუცირების უნარს.
დიალოგის შედგენა.	ავითარებს პროდუცირების უნარს.
ტექსტის შედგენა.	ავითარებს პროდუცირების უნარს.

განხილული მეთოდები და სტრატეგიები თანაბრად შეიძლება იყოს გამოყენებული

ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის

სწავლების პროცესში. თუმცა მათ შორის არის გარკვეული განსხვავებაც: მეორე ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ის ენობრივი გარემო, რომელშიც იმყოფება ენის შემსწავლელი და რაც მისთვის ერთგვარ დამხმარე როლს ასრულებს კომუნიკაციაში. გარკვეული მოდალური სემანტიკის გასაგებად ზოგჯერ შეიძლება ისეთი

არავერბალური საშუალებებიც იყოს გამოყენებული, როგორებიცაა ჟესტი, მიმიკა, ინტონაცია და სხვა, რაც უცხო ენის სწავლების პროცესში ნაკლებად არსებობს, თუ ენის შემსწავლელი არ იმყოფება იმ ენობრივ გარემოში. ამდენად, სავარჯიშოთა და პრაქტიკულ სამუშაოთა რიცხვი უცხო ენის შესწავლელს მნიშვნელოვნად უნდა გაეზარდოს.

ლიტერატურა:

- ჰარისი, 1995 - HARRIS, A. C., 1995. Modal Auxiliaries in Georgian, "Philological Papers", Tbilisi.
- ჯორბენაძე, 1993 - JORBENADZE, B., 1993. Diverbal Modal Elements in Georgian. Issues of Georgian Word Culture. Volume 10, Tbilisi.
- შარაშენიძე, 1999 - SHARASHENIDZE, N., 1999. The History and Morphosyntactic analysis of the verb "MUST". Linguistic Papers, # 4. Tbilisi.
- შარაშენიძე, 2014 - SHARASHENIDZE, N., 2014., Epistemic Modality in Georgian, Verbum, Vilnius, 2014
- პალმერი, 1999 - PALMER, F. R., 1999. Modality and the English Modals, London: Longman.
- კოტინოვი, 1986 - KOTINOV, N., 1986. The Category of Mood and Certain Issues of Georgian Syntax, Tbilisi.
- პაპიძე, 1981 - Papidze A., 1981. The Functions of Subjunctive Two in Contemporary Literary Georgian, Issues of Georgian Word Culture, Volume Four, Tbilisi.
- პალმერი, 2001 - PALMER, F. R., 2001. Mood and Modality, Cambridge: University Press.
- ჰაანი, 2009 - HAAN, F. de, 2009. Epistemic must, Studies on English Modality.
- პაპიძე, 1984 - Papidze, A., 1984. Certain Issues Related to the Function of Present Subjunctive, Issues of Georgian Word Culture, volume 6. Tbilisi.